

დისტანციური იდენტიფიკაციის სერვისი

ტექნიკური მოთხოვნა:

- სერვისი უნდა ინტეგრირდეს მომსახურების მობილურ აპლიკაციებში (IOS და Android) და უზრუნველყოფდეს მუშაობას მობილური მოწყობილობებიდან IOS და Android ოპერაციულ სისტემებში. სერვისი ასევე უნდა იყოს მხარდაჭერილი სხვადასხვა Web Browser- ბით. საინტეგრაციო პაკეტი უნდა მოიცავდეს SDK-ს Android და iOS პლატფორმებისთვის;
- სისტემა უნდა იყოს ადაპტირებული საქართველოს მოქალაქეს ID ბარათთან, საქართველოს მოქალაქის პასპორტთან და საქართველოს მართვის მოწმობასთან.

შემოწმების შედეგების მიწოდება:

1. OCR - დოკუმენტზე არსებული ინფორმაციის გაციფრულება, როგორც ვიზუალური ზონიდან, ასევე MRZ და QR code (არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში ამოკითხული ინფორმაციის დადარება ერთმანეთთან;
2. პიროვნების ფოტოსა და დოკუმენტზე არსებული ფოტოს დადარება ერთმანეთთან და განსაზღვრა, რამდენად ერთი და იგივე ადამიანია;
3. პიროვნების ავტენტურობის შემოწმება და დადასტურება რეალურ დროში, რომ კამერის მეორე მხარეს ნამდვილად ცოცხალი ადამიანია;
4. ვიდეო ზარი (ვიდეოვერიფიკაცია);
5. ვერიფიკაციის დეტალების (დოკუმენტის ფოტოები, პიროვნების ფოტო/ვიდეო/გიფ, შემოწმების შედეგების, ვერიფიკაციის ლოგების ჩანაწერების მოწოდება WEB API საშუალებით).

მომსახურება უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ ეტაპებს:

1. მომხმარებელი ეთანხმება ორგანიზაციის წესებს და პირობებს;
2. დოკუმენტის ფოტოს გადაღებას იდენტიფიკაციის პროცესში დოკუმენტის ჯერ წინა, მერე უკანა მხარის ატვირთვა, პასპორტის შემთხვევაში მხოლოდ მთავარი გვერდის გადაღება;
3. დინამიური სელფის რეალურ დროში გადაღება;
4. ვიდეო ზარი (ვიდეოვერიფიკაცია);
5. დოკუმენტზე დატანილი ფოტოსა და დინამიური სელფის დადარება; დოკუმენტის მონაცემების შემოწმება;
6. გადამოწმება მონაცემთა ბაზაში; ოპერატორის გვერდი. დოკუმენტზე დატანილი ფოტოს და დინამიური სელფის დადარება;
7. დოკუმენტის მონაცემების შემოწმება უნდა მოხდეს დოკუმენტზე დატანებული ფოტოსა და დინამიური სელფის ფოტოს დადარება მსგავსების პროცენტულობის განსასაზღვრად;

დადარების მიახლოებული მონაცემებით:

- 85%-ამდე - შედეგი უარყოფითია;
- 85% და მეტი - შედეგი დადებითია.

მოთხოვნები პროგრამული უზრუნველყოფის მიმართ:

- პროგრამული უზრუნველყოფის მომხმარებლის სიცოცხლიანობის შემოწმებას უნდა ახდენდეს თითოეული მომხმარებლის შემთხვევაში ინდივიდუალურად, შემთხვევითობის პრინციპით გენერირებული დავალების საფუძველზე;
- უნდა მუშაობდეს დაბალი გარჩევადობის კამერის მეშვეობითაც, მინიმუმ 640 პიქსელი სიგანეში.
- ფოტოგადაღება და დინამიური სელფის გადაღება უნდა ხდებოდეს ავტომატურად დაარ უნდა ითხოვდეს დამატებით ინტერაქციას მომხმარებლის მხრიდან.
- უნდა უზრუნველყოფდეს სესიის გადართვას უკამერო მოწყობილობიდან კამერიან მოწყობილობაზე ერთი სესიის ფარგლებში.
- შესაძლებელი უნდა იყოს ვიდეო ზარის მეშვეობით იდენტიფიკაცია, მათ შორის - პროცესის ჩაწერა.
- პროგრამულ უზრუნველყოფას უნდა გააჩნდეს ფუნქციონირების დემონსტრირებული შესაძლებლობა ყველა გავრცელებულ საოპერაციო სისტემაზე (Windows, macOS, GNU/Linux, Android, iOS და ა.შ.).